ტურიზმის მდგრადობის რეალიზაციის გზები

ბაკური ქრისტესიაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენა გამოიხატება მისი სხვადასხვა დონის ბიუჯეტის შემოსავლით ნაწილში გადასახადების შენატანის და ასევე ერთობლივი შიდა პროდუქტის ფორმირების მეშვეობით. სოციალურ სფეროზე ტურიზმის პირდაპირი ზემოქმედება აისახება დასვენების და გამოჯანმრთელების მეშვეობით შრომითი რესურსების ხარისხის ამაღლების პარამეტრებით, და ასევე მოცემულ სფეროში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობით. ამდენად ტურიზმში მოიცავს უდიდეს სოციალურ-ეკონომიკურ რესურს, და სასურველ რეალობაში პროვოცირებას უკეთებს სრულიად ქვეყნის მულტიპლიკატიურ ეფექტს.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მდგრადი განვითარება, ტურიზმის მდგრადობა, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკური ლიტერტურაში, და არა მხოლოდ ეკონომიკურ ლიტერტურაში ფართოდ დაიწყო ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხთა განხილვა. სწორედ ამ პერიოდისათვის, კერძოდ კი 1987 წ-ეს გაეროში გამოქვეყნდა გაეროს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის ე.წ. „ბრუტლანდის ანგარიშის" სახელწოდებით მოხსენება „ჩვენი საერთო განვითარების" სახელწოდებით. სწორედ ამ ფაქტით დღის წესრიგში დადგა განვითარების პოლიტიკის და პრაქტიკის ახლებური ხედვა ყველა მიმართულებით, როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ქვეყნების მიმართ, ასევე ადამიანის საქმიანობის სფეროს თუ არსებული რეალობის მიმართ. სწორედ ამ პერიოდიდან მკვიდრდება „გარემოს" და „განვითარების" საერთო ინტეგრირებული გაგება. ამ რეალობაში ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ მდგრადი განვითარება ეს სხვა არაფერია თუ არა „თანამედროვეთა მოთხოვნებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებების შესაძლებლობებთან კომპრომისის გათვალისწინებით".*

დროთაგანმავლობაში მდგრადობის ცნება ყოვლისმომცველი გახდა და 2000 წელს გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში ტურიზმის მდგრადობის საკითხები პირველად იქნა განხილული. ამ პერიოდიდან მდგრადობის კატეგორიის მთელი სისტემა შესაბამისი დატვირთვით „გადამისამართდა" ტურიზმში, და ადეკვატურად ის რაც გამოიყენება ზოგადად ეკონომიკის მიმართ აქ, ანუ ტურიზმში ნათლად მისაღები გახდა. კერძოდ, მდგრადი განვითარების მოთხოვნები ტურიზმში ეს არის იმ სახის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს დღევანდელ მოთხოვნილებებს და ასევე სასიცოცხლოდ საჭიროა მომავალი თაობისათვის. ამდენად, ზოგადად ეკონომიკის მდგრადი განვითარება უზრუნველყოფს ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას ერთიან დინამიზმში, ანუ არამხოლოდ დღეის გადასახედიდან, არამედ ასევე მომავლის თვალსაწიერით.

მდგრადი ტურიზმი ტურიზმის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს. ამასთან თვით ტერმინი „მდგრადი ტურიზმი" არც თუ ისე დიდი ისტორიის მქონეა, მაგრამ მან სრულად დაიმკვიდრა სამეცნიერო თუ პრაქტიკულ წრეებში ღირსეული ადგილი. ამ ფონზე უნდა მივანიშნოთ რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება არის ტურიზმის შესაძლებლობა და უნარი დროის გრძელვადიან პერიოდში შეინარჩუნოს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი

---

* ი. ხელაშვილი. პრობლემების იდენტიფიცირება ტურიზმში ტრანსდისციპლინარული მიდგომების გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. შრომების კრებული. თბ. 2017 წ. გვ 628-634

მაჩვენებლები, ანუ გაამართლოს რეზიდენტების და ტურისტების მოლოდინი როგორც გრძელვადიან ისე მოკლევადიან პერიოდში ისე რომ ზიანი არ მიაყენოს ზიანი გარესამყაროს მოცემულ ტერიტორიაზე. ამასთან აქ ამ შემთხვევაში მდგრადობა ეკოლოგიური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ზემოქმედების დროს ტურიზმის საერთო დადებით ბალანს, და, ასევე ადგილზე მომსვლელთა ერთმანეთზე დადებით გავლენას გულისხმობს. ამიტომ ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის უთუოდ აუცილებელია რომ ამ პროცესში მონაწილე სუბიექტები ყველა შესაბამის დონეზე პასუხისმგებელნი არიან და თავის როლს ურთიერთპატივსცემით ასრულებენ. ამიტომაც შემთხვევით არ მიანიშნებს მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ და ვაჭრობისა და განვითარების გაეროს კონფერენციამ 2002 წელს მიანიშნა, რომ „მდგრადი ტურიზმი სიღარიბის აღმოფხვრის საწინდარია“.

ამ ფონზე სამეცნიერო ლიტერატურაში და თანამედროვე ტურიზმის პრაქტიკაში აქცენტი კეთდება ტურიზმის ისეთ სახეებზე, როგორიც არის პასუხისმგებელიანი ტურიზმი (responsible tourism), მისაწვდომი ტურიზმი (accessible tourism) თავისი შესაბამისი დატვირთვით და მიმართულებებით.[2] უკანასკნელად ნანახია 2023 წლის 15 თებერვალს.

მდგრადობა ცვლადი მოცემულობა არის - იგი სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაში გამოვლენის საკმაოდ ნაირგვარი სახეებით გამოდის. თვით ეს სახეები კი შესაბამისი მახასიათებლებით - რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით წარმოსდგებიან. ამ ფონზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჰყოფენ ტურიზმის სფეროს მდგრადობის ოთხ ტიპს. და როცა გავერკვევით თვითოეული ტიპის არსში ან მახასიათებლებში, მაშინ შესაძლებელი ხდება რეგიონის მასშტაბით ტურიზმის „ინტელექტუალური“ სახის დანახვა. ამდენად მოკლედ დავახასიათოთ ტურიზმის მდგრადობის სახეები.

ძალზე სუსტი მდგრადობა. ეს ეტაპი ტურიზმის ჩამოყალიბების საწყის ეტაპად აღიქმება და ხასიათდება. ტურისტული საქმიანობას არ მივყევართ ცხოვრების სტილის შეცვლამდე. ამასთან ამ ეტაპს გააჩნია რიგი უპირატესობა: ტურიზმი განვითარების ალტერნატიულ ფორმას წარმოადგენს, იგი ჰქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

- სუსტი მდგრადობა. ამ ეტაპზე ტურიზმის დარგი განვითარებულია და ხდება ტურისტული საქმიანობის მხარდაჭერა და ახალი სახის ტურპროდუქტების შეთავაზება. მიმდინარეობს ხდება. ამ რეალობაში ადგილობრივი ეკონომიკის გაუმჯობესების და დასაქმების ამაღლების სასურველი არეალი იქმნება, ასევე ხდება მოძრაობა გარემოს შენარჩუნებისკენ.
- ძლიერი მდგრადობა. ამ ეტაპზე ტურიზმი მომწიფებულ ეტაპზე იმყოფება; გამოიყენება ეკოლოგიური მენეჯმენტი და ვლინდება გარემომცველი სამყაროს მაღალი დონე, ეკონომიკური ზრდა, დასაქმების დონის ზრდა. საბოლოო ჯამში ჩამოყალიბებას იწყებს მძლავრი ტურისტული დესტინაციის ჩამოყალიბება.
- ძალიან ძლიერი მდგრადობა. ამ ეტაპზე ტურიზმის აქტიური ექსპლუატაცია ხდება. გარემოს აბსოლუტური კონსერვაცია მიმდინარეობს, ანუ განახლებადი და განუახლებადი რესურსების დაცვა ხდება; რეალიზდება გრძელვადიანი ეკოლოგიური მიმზიდველობის დაფიქსირება და სარგებლობა.

ყოველივე ზემოთმოყვანილი ტურისტული მდგრადობის განვითარების დონეების მიხედვით სისტემატიზება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, მივიდეთ მეტად საინტერესო ნიშნულამდე: კერძოდ, ტურიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან, და მათ შორის მიმართების ხარისხი და

„სიმძიმე“ სწორედ ტურიზმის დგრადობის ამა თუ იმ დონით ადექვატურად წარმოჩინდება. კერძოდ, მაშინ როცა, არასაკმარისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონში ტურისტული დარგი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს, მაშინ უპირველეს ყოვლისა შეინიშნება მდგრადობის პირველი და მერე ტიპი. მდგრადობის მესამე ტიპი ეკოლოგიურ განვითარებასთან და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებებთან არის დაკავშირე-

2 Устойчивый туризм (sustainable tourism) www. Bstudy. net/692941.

ბული. რაც შეეხება მდგრადობის მეოთხე ტიპს, ის ეკოლოგიურად მოწყვლადი რეგიონებითვის არის დამახასიათებელი.

ტურიზმის საერთო მდგრადობაზე, და შესაბამისად მის დონეებზე სერიოზულ გავლენას ახდენს ზოგადად ტურისტულ მოგზაურობის მიზეზები. სწორედ რომ ტურისტული მოგზაურობის მიზეზები იქნა შესწავლი ევროპული კომისიის მიერ და დადგინდა ტურისტული მდგრადობის რეალიზაციის საინტერესო რეალობა: ტურისტებს უპირველესად აინტერესებს ბუნებრივი თავისებურებანი, შემდეგ კი განთავსების ხარისხი, შემდეგ კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნავობები, ფასების საერთო დონე, მომსახურების ხარისხი და მისი მიმზიდველობა და სხვ. ამასთან, ასევე დადგინდა, რომ ტურისტების სურვილი განმეორებით ეწვიონ დასვენების ადგილებს მეტ-წილად, ხშირად ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან არის .დაკავშირებული.

ტურიზმის მდგრადი განვითარების მოცემულობა მართვადი რეალობა არის. ეს პირობა მეტად საყურადღებოა როგორც თეორიული კუთხით, ასევე პრაქტიკის მოთხოვნების გასაცნობად. ამდენად, ტურიზმის მდგრადობის დინამიზმის და პერსპექტივაში სასურველობის მისაღწევად უთუოდ სასიცოცხლოდ საჭირო არის რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების მენეჯმენტის სრულად შეცნობა და მისკენ მოძრაობა. ამდენად, ჩვენის აზრით აუცილებელია წარმოვაჩინოთ სწორედ ეს სისტემა და მისი სტრუქტურა.

სრულიად კანონზომიერია ის ფაქტი, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება ეს არის სუბიექტის(სუბიექტების) მიზანდასახული საქმიანობის შედეგი. ამიტომ აქ მთავარი აქცენტი უთუოდ უნდა კეთდება ტურიზმის განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის სწორედ სუბიექტებზე. ეს სუბიექტები კი ასრულებენ ერთგვარ შემოქმედებით როლს ტურიზმის მდგრადი განვითარების მთლიან პროცესში და ამდენად მათზე უნდა მოხდეს მთავარი აქცენტის გადატანა. ამდენად ტურიზმის მდგრადობის მართვის სუბიექტებია:

- სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები
- ტურისტული ორგანიზაციები
- ტურისტული ინფრასტრუქტურა

წესით ყოველი სუბიექტი ორიენტირებულია შესაბამის სახის ობიექტისკენ და მის მიმართ ადექვატურ და შესატყვისი ქმედებებს წარმართავს. ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის შემთხვევაში კი ობიქტებად გამოდის:

- ტურისტული ბაზარი
- ტურისტული რესურსები
- ტურისტული მიმზიდველობა.

მას შემდეგ რაც ცნობილი ხდება ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის სუბიექტი და ობიექტი, მაშინ სრულიად ნათლად ყალიბდება ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მიზანი. საბოლოო ჯამში კი ეს მიზანია რეგიონში ტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოთაღნიშნულ მოცემულობას ერთმთლიანობაში კანონზომიერად მივყავართ ტურიზმის მდგრადი განვითარების პროცესის მიზნების და მეთოდების საკითხთან. აქ კი ჩვენ გვეძლევა საშუალება ჩამოვაყალიბოთ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის ძირითადი ამოცანები; ესენია

- ტურიზმის მდგრადი განვითარების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა;
- ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის სრულყოფა და რეალიზაცია;
- ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ყველა სუბიექტის დაინტერესება;
- ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მონიტორინგი.

როცა ზემოთ მოყვანილ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის ძირითადს ამოცანებს ჩავწვდებით, აღმოჩნდება რომ ამ მექანიზმის გამართვა და ადეკვატური შედეგის მიღება მარტივი და „სწორხაზოვანი“ ქმედებით არ მიიღწევა. აქ საყურადღებოა არამხოლოდ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის პროცესის მონიტორინგი, არამედ სწორად გათვლილი ტურიზმის მდგრადი განვითარების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა ან თუნდაც ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ყველა სუბიექტის დაინტერესების ფაქტორი.

ყოველივე აღნიშნული ნებსით თუ უნებლიედ გვაიძულებს შემდეგი ყურადღება გადა-

ვიტანოთ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის მეთოდებზე. სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ გაგვაჩნია, რამდენადაც წესით ყველა მექანიზმის მოძრაობას ჰაერივით სჭირდება სათანადო ხერხი და მიდგომა. ამიტომაც ამ დროს უნდა გავითვალისწინოთ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის შემდეგი მეთოდები:

- სახელმწიფოებრივი;
- ადმინისტრაციული;
- ეკონომიკური;
- ეკოლოგიური;
- მარკეტინგული;
- ინოვაციური.

ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის რეალიზაციის პროცესში ყველა აღნიშნულ მეთოდს შესაბამისი დატვირთვა გააჩნია. და ზოგადი კონტექსტით განვიხილავთ ტურიზმის მდგრადი განვითარების მართვის მექანიზმის განშლის პროცესს, მაშინ ჩვენ ლოგიკურად და ასევე კანონზომიერად მივდივართ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ დიდ სივრცესთან, ხოლო თუ უშუალოდ დავკონკრეტდებით, მაშინ ფაქტია რომ თვითოეულ ამ მიმართულებას სრულიად თავისი და სრულიად საკუთარი ფასეულობა გააჩნია. ზემოთ მოყვანილი მეთოდებიდან ამ ეტაპზე ყურადღებას მივაქცევთ ზოგიერთს და მივანიშნებთ, რომ მათგან სახელმწიფოებრივი მეთოდი აერთიანებს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებზე. აქ საყურადღებოა ის მოცემულობა რომელიც სახელწიფო-კერძო პარტნიორობის სახით ყალიბდება. ეს კი აისახება შემდეგ მოცემულობაში:

- ტურიზმის სფეროში სახელწიფოსა და კერძო სუბიექტების პარტნიორობის ძირითადი პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანების და პრინციპების განსაზღვრა;
- მთლიანად რეგიონის ასევე თვით ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების დონის კომპლექსური ანალიზი, და ასევე მათ განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების გაოვლენა;
- რეგიონის საინვესტიციო-ინოვაციური განვითარების პროგრამის შეთანხმება ტურისტული ფირმების საქმიანობის მიზნებთან და მიმართულებებთან;
- რეგიონის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფი მიმართულებით ტურისტული ფირმების მოტივაცია;
- ტურიზმის სფეროს ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით იმ პირობების შექმნა რომელიც რეგიონის ინფრასტრუქტურის პროგრამის ფორმირებას და მის დანერგვას განაპირობებს.

ამ გადასახედიდან საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გადავიტანოთ მდგრადი განვითარების საკითხზე, და კერძოდ მათ შორის ტურიზმის სფეროში ინოვაციის უცილობლად განსახორციელებელ დათქმაზე. არსებული დაშვების მიხედვით ინოვაცია ტურიზმში მდგრადობის რეალიზაციის ერთ-ერთ არსებით ნიშნულად განიხილება.

ეკონომიკის განვითარების საბაზრო ურთიერთობები მუდმივად წარმოშობს იმ მოცემულობას, სადაც როგორც რაოდენობრივი და ისე თვისებრივი გარდაქმნები მაღალ მოთხოვნებს წარმოშობს. დღეს ინოვაციის გლობალურ სისტემაში მრავალი გადამწყვერი ცვლილებები ხდება, რაც საბოლოო ჯამში ტურიზმის სფეროში მიმდინარე ურთიერთობის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას ახდენენ. ეს ეხება ისეთ ცვლილებებს, როგორიც არის ინივაციური პროცესების ინტენსიურობის გაზრდა, ინოვაციის შექმნის პროცესის დაჩქარება, ინოვაციური საქმიანობის ახალი მონაწილეების გამოვლენა.

აღნიშნული მომენტები საბოლოო შედეგით საკმაოდ ღირებულია, რამდენადაც ყოველი ინოვაციები ეკონომიკურ, სოციალურ, ბუნებრივ სფეროში განაპირობებს ტურისტული ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის უფრო მაღალ დონეს, საინვესტიციო რესურსების მოდინებას, აუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს, და ქმნის ინოვატორ-ტუროპერატორების დადებით იმიჯს.

ამ რეალობის აღიარების ფონზე უთუოდ საყურადღებოა ტურიზმის სფეროში ინოვაციური საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე აქცენტის გადატანა; აქ კი უთუოდ გამოყოფას იმსახურებს შემდეგი ბერკეტები:

- ახალი ტურისტული მარშრუტების დანერგვა, ასევე ახალი ტურისტული და

სარესტორნო პროდუქტის გამოშვება, ახალი სახის სასტუმრო მომსახურების წარდგენა და ა.შ.

- ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის გამოყენება;
- ახალი ტურისტული რესურსების გამოყენება;
- ბიზნეს-პროცესების ორგანიზაციის ახალი ხერხების წესების გამოყენება;
- ახალი მიმართულებების და გასაღების ბაზრების გამოვლენა და გახსნა და ა.შ.

აქ წარმოდგენილი მოცემულობების ფონზე თანამედროვე ეტაპზე ტურიზმის სფეროს სპეციალისტები, კერძოდ კი უკრაინელი სპეციალისტები - ნ. ჩირსკიი და ტ.ხვაგინა ტურისტულ საქმიანობაში გამოჰყოფენ ინოვაციის რამდენიმე ძირითად საკვალიფიკაციო ნიშნულებს.* ესენია

- იდეების წარმოშობა;
- ინოვაციის ფორმა;
- გავრცელების ფორმა;
- კაპიტალტევადობა

ტურისტული ბიზნესი ისევე როგორც ყველა ბიზნესი შინაგანად და არსობრივად ორიენტირებულია მდგრადობის კატეგორიაზე. დღევანდელ ტურიზმში საინტერესო მოცემულობას ვაწყდებით: ტურიზმის მდგრადობის მოთხოვნას დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმართავს მსოფლიო არაკომერციული ორგანიზაცია GSTC, რომელიც სხვა არსებითი საკითხების გვერდით გლობალური მდგრადი ტურიზმის თემატიკას აყალიბებს და მის პოზიციას „სტანდარტების დამაწესებელი კოდექსის“ ძალა გააჩნია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ორგანიზაციას თავისი გავლენით და კომპეტენტურობის დამსახურების ტურიზმში წარმოუდგენლად მაღალი მსოფლიო ავტორიტეტი გაჩნია. სწორედ GSTC -ის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა ის საერთო დარგობრივი კრიტერიუმი, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად უთუოდ უნდა აითვისოს ჩვენმა ქვეყანამ.

დღეს გლობალური მდგრადი ტურიზმის მიერ შემუშავებულია და მსოფლიოს ქვეყნების მიერ სრულად აღიარებულია ტურიზმის მდგრადობის კრიტერიუმები ოთხი თემის გარშემო;* ესენია შემდეგი სახის დათქმები:

- ეფექტური მდგრადი დაგეგმვა;
- ადგილობრივი საზოგადოებისთვის სულიერი და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალური ზრდა;
- კულტურული მემკვიდრეობის გამყარება/გაძლიერება;
- გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება.3

აღნიშნული კრიტერუმების დაცვა-რეალიზაცია საკმაოდ რთულ გზას გადის. ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში. აქ უპირველესად უნდა აღინიშნოს საკითხის გადაწყვეტის სტრატეგული ხედვის არარსებობა; ამ დროს წინაპლანზე გამოდის თვით პრობლების შორეულ პერსპექტივაში გაუთვლელობის რეალობა; ამ სახის ე.წ. ახლომხედველობას თან ერთვის პოლიტეკონომიკური სიბეცე და სისტემური გარღვევები როგორც მოქმედების ვერტიკალში. ამ კუთხით ჩვენს ქვეყანას საკმაოდ ოდენობის კონკრეტული დაბრკოლებები ახასიათებს. მხოლოდ სრულად გამართული პიარი და მარკეტინგული აქტივობა არ ჰყოფნის მდგრადობის პრობლემის დაძლევას; აქ სასიცოცხლოდ აუცილებელია ელასტიური და სრულად გათვლილი მენეჯმენტი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადასახედიდან ყურადღებას მივაქცევთ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ ძალიან საჭირო და ამავე დროს თითქოს-და უმნიშვნელო ისეთ საკითხზე, როგორიც არის ქვეყნის „უსაფრთხო მოგზაურობის ნიშანი“. *

2020 წელს ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭომ (WTTC) შექმნა ტურიზმის უსაფრთხოების (Safe Travels) სპეციალური პროტოკოლი, რომელშიც უსაფრთხო მოგზაურობის ორგანიზაციის პირობები არის გაწერილი. სწორედ ეს პროტოკოლები საერთო მსოფლიო სტანდარტს წარმოადგენს და იგი მოწოდებულია უზრუნველყოს როგორც მოგზაურთა,ასევე ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოთა მუშაკების უსაფრთხოებას. აქ ძალზედ საინტერესოა ერთი ძალიან მარტივი მომენტი: ამ პროტოკოლებში გამოყენებულია საინტერესო ტერმინი - „ახ-

3 * Чирский Н. А., Хвагина Т. А., Иновации в экскурсионной деятелности. Туризм и гостеприимство. 2015. N 2. Стр. 20-27

ალი ნორმალური“, რომელშიც უთუოდ უნდა იარსებოს მთელმა მსოფლიომ, და მათ შორის ტურიზმმაც. სხვათაშორის ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭო ყოველწლიურად გასცემს ჯილდოს შაფე თრაველს - „უსაფრთხო მოგზაურობის ნიშანი“.

2021 წელს ჩეხეთი უსაფრთხო ტურისტული მიმართულებად აღიარა მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საბჭომ (WTTC). ეს ახალი სტატუსი ჩეხეთის ქვეყანას საშუალებას მისცემს ტურისტები უფრო მეტი ქვეყნიდან მიიღოს. იმედია უახლოეს მომავალში საქართველო გახდება „უსაფრთხო მოგზაურობის ნიშნის“ მფლობელი და აქ ტურიზმის მდგრადობის ერთ-ერთი ნიშნულად აღიარებენ.5

გამოყენებული ლიტერატურა

1. შენგელია რ., ანანიძე მ., საინვესტიციო გარემო -ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი. ჟურნალი „ეკონომიკა“, №1,2017 წ.
2. დიასამიძე მ., ვაშაკიძე ზ., , ვაშაკიძე ა. – ინვესტიციის თანამედროვე თეორიები და თავისებურებები.ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. N5 (35), 2014. გვ. 25-30.
3. ბერიძე თ. ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების სრულყოფის საკითხები. დისერტაციო ნაშრომი. ბათუმი. 2016.
4. დოლიკაშვილი ლ., არაბული კ. ტურიზმის საფუძვლები. სახელმძღვანელო ტურისტებისათვის. პირველი წიგნი - თეორიული სახელმძღვანელო. თბილისი. 2021 წელი.
5. man, C.P.. The Perils of Competition for Foreign Direct Investment. In: Inter-American Development Bank and OECD Development Centre, Foreign Direct Investment versus Other Flows to Latin America. Development Centre Seminars, Paris: 63–84.,2001
6. ე. ბარათაშვილი, რ.ქუთათელაძე, ლ.გვაჯაია, გ.ყურაშვილი „საინვესტიციო მენეჯმენტი”, თბილისი 2011 წ.

WAYS TO REALIZE THE SUSTAINABILITY OF TOURISM

Bakrui Christosiashvili

Abstract

The impact of tourism on the economy of the country is expressed in the contribution of taxes to the revenue part of the budget at different levels and also through the formation of the joint domestic product. The direct impact of tourism on the social sphere is reflected through recreation and recuperation parameters for improving the quality of labor resources, as well as the number of jobs created in a given field. Thus, tourism includes the largest socio-economic resource, and in the desired reality provokes the multiplier effect of the entire country.